საქართველოს ტექნოგენური ლანდშაფტების ფუნქციონირების გეოეკოლოგიური პრობლემები

ეთერ დავითაია

ელ ფოსტა: eter.davitaia@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

მთიან რეგიონებში რეკულტივაციის და მასთან დაკავშირებული პროცესების სირთულესა და თავისებურებებს განაპირობებს ზედაპირის გეოლოგიური თავისებურება (მადნისზედა სახურავი ქანების სიმძლავრე და ხასიათი), მორფომეტრული მაჩვენებლები (რელიეფის ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრება, დახრის კუთხის სიდიდე და სხვ.), მიკროკლიმატური და ედაფური ფაქტორები (ჰუმუსის ფენის სისქე, ნიადაგის მჟავიანობის PH - მაჩვენებელი და სხვ.), ნაყარი კომპლექსების ფართობი, მოცულობა, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ასევე ნაყარის საპროექტო და ზედაპირულ ზომებს შორის სხვაობის სიდიდე და სხვა. მსხვილი სამთო ობიექტების ტექნოგენური ლანდშაფტების აღდგენისა და მათი ოპტიმიზაციის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს რამდენიმე მნიშვნელოვანი სამთო ობიექტისათვის (ჭიათურა) დადგენილ იქნა ანთროპოგენიზაციის პროცესის ინტენსივობის ხარისხის რაოდენობრივი მახასიათებელი და გამოვლენილ იქნა ამ პროცესის სწრაფი ზრდის ტენდენცია.

მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენებით დადგენილ იქნა ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებზე ბიოლოგიური რეკულტივაციისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობის დამოკიდებულების ხასიათი. სტატისტიკურ მახასიათებელთა მნიშვნელობების გაანალიზების საფუძველზე განისაზღვრა რეკულტივაციის პროცესის ხანგრძლივობაზე თითოეული ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის ზემოქმედების ხარისხი და დადგენილ იქნა წამყვან ფაქტორთა რიგითობა

გარემოს ქიმიური დაჭუჭყიანების ჯამური მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს ცალკეულ სამთო ობიექტზე (ჭიათურა) გამოყოფილ იქნა რამდენიმე ძირითადი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ზონა